საქართველოს სტატისტიკის სამმართველოსა და შრომის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოში.

საყოველთაო აღწერებში შეზღუდული უნარიანობის საკითხებთან დაკავშირებით

ყველაზე დიდი გამოკვლევები, რომლის დროსაც გროვდება ინფორმაცია შეზღუდულ უნარიანობის მქონე პირებზე ინფორმაცია, ეს არის საყოველთაო აღწერები. საყოველთაო აღწერები შეზღუდულ უნარიანობისა და ინვალიდობის გამოკვლევებთან დაკავშირებით პოლონეთში დიდი ტრადიცია აქვს. ინვალიდობის კვლევა პირველად პოლონეთში ჩატარდა 1921 წელს. იმ დროს კითხვები ეხებოდა მხოლოდ ფიზიკურ უნარიანობას, ისეთებს როგორიცაა: უსინათლობა, სიყრუე თუ აგრეთვე ქვედა კიდურების ნაკლებობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინვალიდობისა და შეზღუდულ უნარიანობის საკითხებს დაუბრუნდნენ საყოველთაო აღწერების დროს 1978, 1988 და 2002 წლებში.

ამავდროულად გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ საყოველთაო აღწერების ფარგლებში 2002 წლამდე მიმდინარეობდა ისეთი სახის გამოკვლევები (მთლიან მოსახლეობაზე) რომელიც საშუალებას მისცემდა შეზღუდულ უნარიანობის მქნე პირების რაოდენობასა და სტრუქტურას (ბიოლოგიურად, სამართლებრივად) პოლონეთის საზოგადოებაში.

შეზღუდულ უნარიანობის ფარგლებში აღწერის დროს მიღებულმა შედეგებმა საშუალება მისცეს შეზღუდულ უნარიანობის მქონე მოსახლეობის აღწერის, მათი დემოგრაფიულ-საზოგადოებრივი დახასიათებისა, ეკონომიკურ აქტიურობის, (მომუშავე, უმუშევარი, პროფესიულად არა აქტიური), დასაქმების სტატუსი, სამუშაო დაწესებულებაში დასაქმება, რა სახის პროფესიას ასრულებს, და აგრეთვე ეკონომიკური პრეზენტაციები და საყოფაცხოვრებო საცხოვრებელი პირობები და შეზღუდულ უნარიანობის მქონე პირების საოჯახო პირობები, ქვემოთ მოცემულ ქვეყნის სავოევოდო ტერიტორიებად დაყოფის დონეზე. აგრეთვე 2011 წელს მოსახლეობის და საცხოვრებელების საყოველთაო ეროვნულ აღწერის დროს მოძიებულ იქნა ინფორმაცია შეზღუდულ უნარიანობის მქონე

პირებზე. შეზღუდულ უნარიანობის საკითხის გაგრძელება მომდევნო აღწერის დროს საშუალებას მოგვცემს ამ ძალზედ მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკური თვალსაზრისით საზოგადოების გაანალიზებაში.

შეზღუდულ უნარიანობის მქონე პირების თაობაზე მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია 2011 წლის ეროვნულ საყოველთაო აღწერის დროს.

2011 წლის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვების მეთოდი განსაზღვრულ იქნა 2010 წლის 4 მარტს, 2011 წელს მოსახლეობისა და საცხოვრებლების ეროვნულ საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით მიღებულ კანონმდებლობაში (საკანონმდებლო მაცნე ნომერი 47, 277-ე პოზიცია) კანონმდებლობის განმახორციელებელ აქტებთან ერთად და აგრეთვე ევრო პარლამენტისა (ევრო კავშირის) და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისს, მოსახლეობისა და საცხოვრებლების საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით მიღებულ დებულებასთან ერთად ნომერი 763/2008 (ევრო კავშირის საუწყებო მაცნე ლ 218 13.08.2008, მე-14 გვერდი), სადაც დებულება ნომერით 763/2008 არის პირველი სამართლებრივი აქტი ევროპის მასშტაბში, რომელიც ევრო კავშირის ქვეყნებში მოსახლეობისა და საცხოვრებლების საყოველთაო აღწერის ჩატარებისას სხვა და სხვა ფორმებს ერთნაირად იღებს.

2011 წელს მოსახლეობისა და საცხოვრებლების ეროვნული საყოველთაო აღწერა ჩატარებულ იქნა შერეული მეთოდით, აქამდე ჩატარებულ აღწერებიდან განსხვავებით, რომელებიც ტრადიციულ მეთოდით იქნა ჩატარებული, სადაც შესაძლებელო რეპრეზენტაციული მეთოდის ჩართვით, რომელიც აღწერის დროს დაკითხულ პირების ინტერვიუს საკითხებს აფართოებდა.

საყოველთაო ეროვნული აღწერა 2011 განხორციელებულ იქნა მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა უპირველეს ყოვლისა ადმინისტრაციული მონაცემების წყაროებს (რეგისტრაციებსა და საინფორმაციო სისტემებს) და აგრეთვე მონაცემების უშუალოდ მოსახლეობიდან მოპოვებას დამატებით საანკეტო გამოკვლევების ფარგლებში ანუ რეპრეზენტაციულ გამოკვლევის მეშვეობით ფართო საკითხებით მოცულ და კითხვების ფორმების გამოყენებით (გრძელი ფორმა რომელიც დაახლოებით 100 კითხვას მოიცავდა) და

აგრეთვე სრული გამოკვლევა მოკლე ფორმის გამოყენებით (16 შეკითხვა) რომელიც გათვალისწინებულ იყო ყოველი ადამიანისათვის რომლებსაც არ გაუვლიათ რეპრეზენტაციული გამოკვლევა.

რეგისტრები რომელებიც პოლონეთში ფუნქციონირებს, სამწუხაროდ არ შეიცავს ბევრ ინფორმაციას, (მათ შორის შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირებზე, განათლების დონეზე და ასე შემდეგ) რომლებიც თვითმართველობის და ქვეყანაში ადმინისტრაციული დაყოფის ყველა საფეხურზე, ადმინისტრაციულ ხელისუფლების, უშუალო საინფორმაციო მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდნენ, ხოლო ორივე კვლევაში განხორციელებულ ანკეტების საერთო რიცხვი ეს ნიშნავს მოკლე და ვრცელი ფორმის დახმარებით მოპოვებულ ინფორმაციები არ ფარავენ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას იმ დონეზე, რომ შეგროვილი საჭირო ინფორმაციები, და მათ დახმარებით, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციაში მათი შესაბამისი ინფორმაციები არ მოიძებნება, გამოყენებულ იქნეს უბრალოდ და პირდაპირ როგორც სრული გამოკვლევის შედეგები (ტრადიციული მიდგომა). ამდენად აღწერის 2011 წარმოდგენილი შედეგები, რომლებიც მთელ რიგ თემატურ სფეროს ეხება (მათ შორის შეზღუდულ შესაძლებლობების საკითხებს) მთელ პოლონეთის მოსახლეობასთან დაკავშირებით ძირითადად რეპრეზენტაციული კვლევის შედეგების საფუძველზე ხდება მოპოვება.

რეპრეზენტაციული კვლევები - ეროვნულ საყოველთაო აღწერა 2011 ფარგლებში - ჩატარებულ იქნა ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 20% სახლზე შემთხვევით ამორჩევის გზით. რეპრეზენტაციულ მეთოდის თეორიის თანახმად ეს ზოგადად შერჩევის ზომის განსაზღვრამდე და აგრეთვე წილის ყრის სქემის არჩევამდე განისაზღვრება დომენა, რომლისთვისაც კვლევის შედეგები უნდა იყოს რეპრეზენტაციული, ანუ უნდა იყო მაინც კარგი სიზუსტე. ეროვნულ საყოველთაო აღწერა 2011 რეპრეზენტაციულ კვლევის 20% -ში მიღებულ იქნა, რომ კვლევის კარგი შედეგი უნდა იქნეს მიღებული 379 პოვიატისთვის პოლონეთში, ქალაქების და სოფლების, უბნების და პოლონეთის ხუთ ყველაზე დიდ ქალაქის დელეგატურების ტერიტორიების გათვალისწინებით.

წილის ყრის ერთეული იყო სახლი კონკრეტულად კი მისამართი. საცხოვრებელი სახლების კომპლექსი, რომლებიც საცდელი წილის ყრის საფუძველი იყო მომზადებულ იქნა შესაფერისი შერჩევის „ღრმა“

სტრატიფიკაციით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიღებულ იქნა ერთ ეტაპიანი სახლების წილის ყრის პრინციპი, გამოყენებული წილის ყრის სქემა და აგრეთვე თითოეულ პოვიატში გამოყოფის მცდელობა (ყველა წინანდელ აღწერებში რეპრეზენტაციულ კვლევებში, რომლებიც აღნიშნულ აღწერას თან ახლდა, გამოყენებული იყო ორ ეტაპიანი წილის ყრა) - ხსენებული შერჩევა განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებდა.

ბოლოს, რეპრეზენტაციულ კვლევის ჩასატარებლად ამორჩეულ იქნა 2 744 ათასი სახლი თითქმის 13,5 მილონ სახლიდან რომლებიც წილის ყრის ფარგლებში შედიოდა. სახლების წილის ყრა შედგა დაახლოებით ყოველი მხრიდან თითქმის 70.5 ათასი ფენად, ხოლო მცდელობის სიდიდე თითოეულ ფენებში მერყეობდა თითქმის 6%-დან 49%-ზე მეტამდე.

მომზადებული სახლების შერჩევის ჩარჩო, ღრმა ფენების გათვალისწინებით, დიდმა არჩევის მცდელობამ, ისევე როგორც კვლევის ჩატარებისთვის შერჩევის შესაბამისი სქემა და მისი გამოყოფა, იძლეოდნენ კარგი ხარისხის შედეგების მიღების გარანტიას (კარგი სიზუსტით) თემების ყველა სფეროში, რომლებიც გათვალისწინებულ იყო ეროვნულ საყოველთაო აღწერა 2011 -ში, მინიმუმ პოვიატების დონეზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ინფორმაცია - 2010 წლის 4 მარტს, 2011 წელს მოსახლეობისა და საცხოვრებლების ეროვნულ საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით მიღებულ კანონმდებლობის შესაბამისად - <u>გროვდებოდა რეპრეზენტაციული კვლევის შედეგების საფუძველზე ხოლო მათი მოპოვება შესდგა ნებასურვილისებრ.</u> ასეთი მიდგომა განპირობებული იყო იმით რომ, პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია (51-ე მუხლი) არ რთავს ნებას ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით (მათ შორის შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირებზე) როგორც ვალდებულება. შეზღუდულ უნარიანობაზე ინფორმაცის მოპოვება ეყრდნობოდა დეკლარაციებს და რესპოდენტის სუბიექტურ შეფასებაზე და რომლებიც აგრეთვე ეხება განსაზღვრულ დროს. სააღმწერო შეკითხვებზე ამ სფეროში, ინფორმაცია აწვდიდნენ მოზრდილი პირები, რომლებმაც გამოხატეს

თანხმობა, ხოლო ბავშვების თაობაზე, ბავშვებზე პასუხისმგებელი მშობლები ან მეურვეები აწვდიდნენ ინფორმაციას. კვლევის შედეგები განზოგადებული იქნა რეპრეზენტაციული კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მითითებულ მოსახლეობის გამოყენებით სრულ კვლევის შესაბამისად.

საყოველთაო აღწერებში მიღებულ დეფინიციის თანახმად შეზღუდული უნარიანობის მქონე პირად ითვლება ის პირი რომელსაც აქვს შესაბამისი დიაგნოზი, გაცემული სათანადო ორგანოს მიერ ან ის პირები რომლებთაც ასეთი დიაგნოზი არ გააჩნიათ, მაგრამ გრძნობდნენ ქმედუნარიანობის შეზღუდვას, მათ ასაკის შესაბამისად ძირითადი საქმიანობის შესრულების დროს (სამუშაო, სწავლა, თამაში-გართობა, თვითმომსახურება)

შეზღუდული შესაძლებლობისა მქონე პირთა საზოგადოება დაყოფილ იქნა ორ ძირითად ჯგუფად:

- **სამართლებრივ საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობისა მქონე პირები,** ანუ ისინი, რომლებთაც ჰქონდათ შესაბამისი აქტუალური დიაგნოზი, სათანადო ორგანოს მიერ გაცემული (მიუხედავად იმისა თუ რა მიზნით იყო გაცემული, პენსიისთვის თუ არა),
- **მხოლოდ ბიოლოგიურად შეზღუდული შესაძლებლობისა მქონე პირები,** ანუ ის პირები, რომლებთაც არ გააჩნიათ დიაგნოზი, მაგრამ გრძნობდნენ მთლიანად, სერიოზულად ან შედარებით შეზღუდულ ქმედუნარიანობას მათ ასაკის შესაბამისად ძირითადი საქმიანობის შესრულების დროს.

ამა თუ იმ პრის სამართლებრივად შეზღუდული შესაძლებლობისა მქონე პირების დაკვალიფიცირების კრიტერიუმი იყო:

- **16 წლის ასაკისა და მის ზევით ასაკის პირები** – სათანადო ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი აქტუალური დიაგნოზი, რომელიც ადგენ მუშაობის უუნარობას, შეზღუდვის დონეს, გადაკვალიფიცირების მიზანს ან ინვალიდობას. ,
- **16 წლამდე ასაკის პირები** – სათანადო ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი აქტუალური დიაგნოზი,

ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო, რომელიც აფართოებდა ცოდნას სამართლებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სუბიექტური შეფასება მათ მიერ ძირითადი საქმიანობის შესრულების დროს. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივად დადგენილი დიაგნოზი ყოველთვის (თუნდაც ყველაზე დიდი ხარისხის) არ ასახავს შეზღუდვის დონეც, ჩვეულებრივ ყოველდღიურ ფუნქციონირების დროს.

სამართლებრივად დადგენილ შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირების სუბიექტური შეფასების გათვალისწინებით, გამოყოფილ იქნა ორი სუბპოპულაცია:

- **სამართლებრივად და ბიოლოგიურად შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირები,** ანუ ისეთი პირები, რომლებთაც აქვთ დიაგნოზი და ამავდროულად გრძნობდნენ მთლიანად, სერიოზულად ან შედარებით შეზღუდულ ქმედუნარიანობას მათ ასაკის შესაბამისად ძირითადი საქმიანობის შესრულების დროს.
- **მხოლოდ სამართლებრივ საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობისა მქონე პირები,** ანუ ისეთი პირები, რომლებთაც აქვთ დიაგნოზი, მაგრამ საერთოდ არ გრძნობდნენ მთლიანად, სერიოზულად ან შედარებით შეზღუდულ ქმედუნარიანობას მათ ასაკის შესაბამისად ძირითადი საქმიანობის შესრულების დროს.

აგრეთვე გამოყენებულია ცალკეული დაყოფა რის თანახმადაც ზოგადი ჯგუფიდან გამოყოფილია არიან ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები რომლებთაც ქმედუნარიანობა აქვთ შეზღუდული და მათი ინვალიდობის დონე - მიუხედავად იმისა თუ მათ ჰქონდათ სამართლებრივი დიაგნოზი თუ არა. დანარჩენი პირები ამ დაჯგუფების მიხედვით ჩაირიცხნენ იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სიაში, რომლებიც არ გრძნობენ ქმედუნარიანობის დაკარგვას (არიან მხოლოდ სამართლებრივად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები).

ეროვნული საყოველთაო აღწერა 2011 საკითხების სპექტრი შეზღუდულ შესაძლებლობების ფარგლებში.

დასმული კითხვების უმრავლესობა, რომელებიც შეზღუდულ შესაძლებლობებს ეხება მეთოდოლოგიურად შერწყმული იყო იმ შეკითხვებთან

რომელებიც წინა აღწერების დროს იქნა დასმული, რამაც ხელი შეუწყო მიღებულ შედეგების შედარებას.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ვაშინგტონის ჯგუფის შეკითხვები არ იქნეს შეტანილი აღწერის შეკითხვების სიაში.

2011 წელს საყოველთაო აღწერის ჩატარებასთან დაკავშირებით, გამოსაკვლევი პრობლემები გაფართოებულ იქნა მომდევნო საკითხებით: უბრალო, ყოველდღიური ძირითადი სამუშაოების შესრულების დროს შეზღუდვების ხანგრძლივობა და აგრეთვე დაავადებების ჯგუფი, რომლებიც ზღუდავენ ყოველდღიურ ქმედებების შესრულების უნარს იმ პირების მიმართ რომებიც აძლევენ კითხვებზე პასუხს.

შეკითხვა 1. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემების გამო (დასახიჩრება, ან გართულებული დაავადებები) გაქვთ თქვენ ქალბატონო (ბატონო) შეზღუდვები ყოველდღიურ ძირითად საქმეების შესრულების დროს (სკოლაში სწავლა-განათლების მიღების დროს, სამსახურში, საყოფაცხოვრებო სამუშაოების შესრულების დროს, თვით მომსახურების დროს) რომლიც 6 თვეა რომ გრძელდება ან უფრო მეტიც?

ამ კითხვებზე გაცემული პასუხები ეს სუბიექტური პასუხებია; ეს არის პასუხის გამცე პირის თვითშეფასება. ამ კითხვებში სამი სახის შეზღუდვაა გამოყოფილი, ყოველდღიური ძირითადი საქმეების შესრულების დროს: ***სრული შეზღუდვა, სერიოზული შეზღუდვა, ზომიერი შეზღუდვა.*** *ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულია გრძელვადიანი შეზღუდვა. ანუ ისეთი, რომლებიც უკვე 6 თვის მანძილზე გრძელდება ან არის იმის პროგნოზი რომ 6 თვე ან მეთი ვადით გაგრძელდება. პირები რომლებიც საერთოდ არ გრძნობენ შეზღუდვას ყოველდღიურ ძირითად საქმეების შესრულების დროს და ის პირები რომლებიც გრძნობენ შეზღუდვას ყოველდღიურ ძირითად საქმეების შესრულების დროს ან ითვალისწინებენ, რომ მსგავს სიტუაციას ექნება ადგილი და არ გრძელდება ან არ გაგრძელდება 6 თვე მაში ასეთმა პირებმა უნდა მონიშნონ* ***არა.***

1. დიახ, სრულიად შეზღუდული ვარ
2. დიახ, სერიოზული შეზღუდვა
3. დიახ, მაქვს ზომიერი შეზღუდვები
4. არა მაქვს არანაირი შეზღუდვები
5. არ მსურს კითხვაზე პასუხის გცემა

შეკითხვა 2. რამდენი ხანია რაც თქვენ ქალბატონო (ბატონო),ყოველდღიურ უბრალო ქმედებების შესრულების საშუალება შეზღუდული გაქვთ?

საჭიროა ამოირჩიოთ ერთი პასუხი, რომელიც განსაზღვრავს ყოველდღიურ უბრალო ქმედებების შესრულების შეზღუდვის ხანგრძლივობის ვადას, აღწერის კრიტიკულ მომენტამდე (2011 წლის 31 მარტი)

1. 6 თვიდან ერთ წლამდე
2. ერთი წლიდან 5 წლამდე
3. 5 წლიდან 10 წლამდე
4. 10 წელი ან უფრო მეტიც
5. არ მსურს კითხვაზე პასუხის გცემა

შეკითხვა 3. ყოველდღიურ უბრალო ქმედებების შესრულების შეზღუდვა გამოწვეულია იმის გამო, რომ:

კითხვაზე პასუხის გაცემის დროს , თხოვნაა ამოირჩიოთ და მონიშნოთ მაქსიმუმ 3 ძირითადი მიზეზი (იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიზეზების რაოდენობა უფრო მეტია) დაავადებებისა და დაზიანებებისა, რომლებიც იწვევენ ყოველდღიურ უბრალო ქმედებების შესრულების შეზღუდვას (ეს კითხვები ახალი კითხვებია იმ კითხვებთან შედარებით, რომელებიც წინა ჯერზე ჩატარებულ აღწერის დროს იყო დასმული).

1. საყრდენი-სამოძრაო სისტემის ორგანოს დაზიანება და დაავადება
2. თვალის დაზიანება და დაავადება
3. სასმენი ორგანოს დაზიანება
4. სისხლძარღვთა დაავადებები
5. ნევროლოგიური დაავადებები
6. სხვა დაავადებები ცალკე არ არის ჩამოთვლილი
7. არ მსურს კითხვაზე პასუხის გცემა

შეკითხვა 4. ამჟამად გაქვთ თ არა თქვენ ქალბატონო(ბატონო) აქტუალური დიაგნოზი შეზღუდულ შესაძლებლობაზე, იმასთან დაკავშირებით, რომ მუშაობის ქმედუნარიანობა არ გაქვთ და ან ინვალიდი ხართ?

შეკითხვა ეხება ყველა პირს მიუხედავად თუ რა ასაკისაა და ადრე გაცემული პასუხებისა რომლებსაც აქვთ აქტუალური (ძალაში არსებული) დიაგნოზ (დიაგნოზები) – 1997 წლის 27 აგვისტოს, პროფესიული რეაბილიტაციის, სოციალური და დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თაობაზე მიღებულ კანონმდებლობის შესაბამისად - სათანადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადგენს სამუშაოების შესრულების ქმედუნარიანობის ნაკლებობაზე, ინვალიდობის დონეს, ან შეზღუდულ შესაძლებლობაზე დიაგნოზი (16 წლამდე ასაკის პირებისადმი გაცემული - ინვალიდობის დონის განსაზღვრის გარეშე) გადაკვალიფიცირების ან ინვალიდობის მიზანი, ***საჭიროა აღნიშნოთ პასუხი „1. დიახ“***

1. დიახ
2. არა
3. არ მსურს კითხვაზე პასუხის გაცემა.

შეკითხვა 5. როგორ იქნა კვალიფიცირებული მუშაობის შესაძლებლობის უუნარობა შეზღუდული შესაძლებლობა/ინვალიდობა?

*შეკითხვა ეხება ყველა პირს მიუხედავად თუ რა ასაკისაა და რომლებმაც მე-4 კითხვაზე დადებითი პასუხი გასცეს (მონიშნულ იქნა პასუხი **„1. დიახ“**) იმის მიხედვით თუ რა დიაგნოზი გაქვთ უნდა მონიშნოთ 1-4 შეზღუდული შესაძლებლობის/უუნარობის დონის დადგენის მიზნით, სამუშაოს/ინვალიდობის დადგენის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ 2 ან მეტი დიაგნოზი გაქვთ - საჭიროა მიიღოთ ისე როგორც უმაღლესი დონის ინვალიდობაზე დიაგნოზი.*

1. მძიმე ინვალიდობის დონე ან მუშაობის სრული უუნარობა და დამოუკიდებლად ცხოვრებისა. ან პირველი ჯგუფის ინვალიდობა, ან ხანგრძლივი სამეურნეო სამუშაოების შესრულების უუნარობა.
2. ზომიერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პრი ან სრულიად მუშაობის უუნარობა მეორე ჯგუფის ინვალიდი;
3. მსუბუქი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პრი ან ნაწილობრივ, სამუშაოების შესრულები, უუნარობა, ან პროფესიის გადაკვალიფიცირების მიზანი, ან მესამე ჯგუფის ინვალიდობა, ხანგრძლივი სამეურნეო სამუშაოების შესრულების უუნარობა.
4. ინვალიდობა 16 წლამდე ასაკის პირებისათვის
5. არ მსურს კითხვებზე პასუხის გაცემა

ეროვნული საყოველთაო აღწერა 2011 მონაცემების მოგროვების ტექნიკა

2011 აღწერაში გამოყენებული ფორმები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ <u>ელექტრონულ ფორმით</u>. რეპრეზენტაციულ კვლევის ჩასატარებელ ფორმებს ჰქონდათ ძალიან ფართო თემატიკა (100 შეკითხვაზე მეთი შეკითხვა) და დაყოფილ იყო თემატურ მოდულებად (10 მოდული).

ელექტრონული ფორმა ხელმისაწვდომი იყო *on-line-ში,* ფორმები მომზადებულ იქნა აპლიკაციის ვერსიით მობილურ *handheld* ტიპის მოწყობილობისთვის, ანკეტის შემავსებლისათვის/დამთვლელისათვის, პირდაპირი ინტერვიუს ჩატარების მიზნით.

შესაბამისი ფორმის აპლიკაცია, რომელიც მობილურ ტერმინალზეა ხელმისაწვდომი ან ინტერნეტის მაძიებლის მეშვეობით, ფორმის შევსების სისწორეს უკეთებდა ვერიფიკაციას, მათ შორის ლოგიკურ-დათვლით კონტროლის მეშვეობით. *ელექტრონული აპლიკაციის ელემენტი იყო ლექსიკონები, რომელებიც ფუნქციონირებდნენ დასმულ კითხვებთან თემების*

ცალკეულ სფეროებში: განათლება, ეკონომიკური აქტიურობა, იმ ქვეყნის თაობაზე რომლის მოქალაქეობაც აქვს პირს და დაბადების თაობაზე, მიგრაციაზე, ეროვნულ-ეთნიკურ მიკუთვნებაზე, ენზე და აღმსარებლობაზე. ზოგიერთ ლექსიკონებთან არსებობდა თავისუფალი სიტყვის ჩაწერის საშუალება. დამატებით ელექტრონულ ფორმის იმ ნაწილში სადაც მისამართის მიწოდება იყო საჭირო ჩართული იყო TERYT-ის ლექსიკონი.

საჭიროა დავამატოთ, რომ იყო აგრეთვე რეპრეზენტაციულ კვლევის ჩასატარებლად საჭირო ფორმის შევსების საშუალება ინტერნეტის მეშვეობით. თუმცა, იმის გამო, რომ ფართო სპექტრის საკითხების იყო, ძალზედ ცოტა ადამიანმა ამოირჩია აღწერის ასეთი მეთოდი.

ინტერვიუების გარდა, რომელსაც აღწერა-დათვლის ჩამტარებელი პირები hand-held-ის მოწყობილობის გამოყენებით ატარებდნენ (CAPI-ის მეთოდით) და აგრეთვე ინტერნეტის თვით აღწერით (CAII) აღწერაში გამოყენებულ იქნა კიდევ ერთი დამატებითი მონაცემების შესაგროვებელი არხი: ინტერვიუ ტელეფონის მეშვეობით (CATI-ის მეთოდი). არხი CATI ეფექტური აღმოჩნდა სრული გამოკვლევის ჩატარების დროს მცირე რაოდენობით დასმულ კითხვების დროს, და ამით გამოკვლევის ჩატარებისთვის საჭირო მოკლე დროში. რეპრეზენტაციულ კვლევის შემთხვევაში, უკვე მოსამზადებელ სამუშაოების ეტაპზე, დადგენილ იქნა რომ CATI-ის მეთოდით მხოლდ შეიძლება მოხდეს CAII-ის მეთოდით შეგროვილ მონაცემების შევსება.

ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი იყო:

- ფორმის სიდიდე (ინტერვიუს დიდხანს გაგრძელება),
- შეტანილ ინფორმაციების ფართო მასშტაბი,
- კითხვებს შორის კავშირის კომპლექსური ლოგიკა.

გამოყენებული გადაწყვეტილებებს უნდა შეემცირებინათ აღწერის ხარჯები და აღწერით შემოფარგლული პირების დატვირთვა, და ამავე დროს აღწერის შედეგების კარგი ხარისხის უნდა შეენარჩუნებინა.

მონაცემთა გავრცელება

საყოველთაო ეროვნული აღწერა 2011 შედეგების გასავრცელებლად გამოიყენება ქვემოთ ჩამოთვლილი გზები:

1. ტაბელურ-ანალიტიკური და ანალიტიკური პუბლიკაციები,
2. მონაცემთა გაზიარება ინფორმაციულ გადამზიდველების მეშვეობით,
3. მონაცემთა გაზიარება ინტერნეტის მეშვეობით,
4. ადგილობრივი მონაცემთა ბანკი (BDL),
5. პირდაპირი წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციების შედეგებთან - მიკრო მონაცემების ანალიტიკურ ბაზაში (ABM) - გარე მომხმარებლების აპლიკაციების მეშვეობით (AUZ)
6. გეო სტატისტიკური პორტალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი საყოფაცხოვრებო და ოჯახებზე მონაცემები, რომლები შემუშავებულ იქნა, საყოველთაო ეროვნული აღწერა 2011 შედეგების საფუძველზე, აგრეთვე მეთოდოლოგიასთან და ანალიტიკური კომენტარებით ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმით სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მომდევნო ვებ გვერდზე: http://stat.gov.pl/obszary-tematyczne/ludnosc/narodowy-spis-powszechny-ludnosci-i-mieszkan-2011/ludnosc-i-gospodarstwa-domowe-stan-i-struktura-spoleczno-ekonomiczna-czesc-i-ludnosc-nsp-2011,2,1.html აგრეთვე http://stat.gov.pl/obszary-tematyczne/ludnosc/narodowy-spis-powszechny-ludnosci-i-mieszkan-2011/ludnosc-i-gospodarstwa-domowe-stan-i-struktura-spoleczno-ekonomiczna-czesc-ii-gospodarstwa-domowe-,29,1.html

ჩანაწერი შემუშავებულია:

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს დემოგრაფიული - სოციალური და შრომის ბაზრის კვლევის დეპარტამენტის დემოგრაფიული - სოციალური და შრომის ბაზრის ანალიზის განყოფილების უფროსის ანნა ვისოცკას მიერ